ეროვნული ბიბლიოთეკა

2802

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

კვირა, 17 მაისი, 1942 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 20 (231). ფასი 30 კაპ.

დაე აღგვაფრთოვანონ ჩვენმა დიდმა წინაპრებმა

თანამედროვე ომი სახელმწიფოსა და ხალხის ყველა ძალის უდიდეს გამოცდას წარმოადგენს. იგი არის ხალხის არა მარტო ეკონომიკის, ტექნიკის, არა მარტო ფიზიკური, არამედ მორალური ძალების შემოწმება.

ჩვენმა დიდმა სამშობლომ გაუძლო ამ მრისხანე გამოცდას, გაუძლო ამ სასტიკ ომს, რომელიც უეცარი და მზაკვრული თავდასხმით ჩვენს ხალხს თავზე მოახვია ჰიტლერის პირსისხლიანმა ხროვამ. ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა არა მარტო ეკონომიურად და ტექნიკურად, არამედ მორალურად და სულიერად შეიარაღებული გიგანტური ბრძოლისათვის ფაშისტური ბნელეთის წინააღმდეგ. სამამულო ომის მრისხანე დღეებში საბჭოთა ადამიანებმა გამოიჩინეს ისეთი ვაჟკაცობა და სულის სიძლიერე, რომლის მაგალითი იშვიათია ისტორიაში და რომელიც ასაზრდოვებს მათ ნებისყოფას, მათ მტკიცე გადაწყვეტილებას იბრძოლონ ბოლომდე, სრულ გამარჯვებამდე, გაცოფებული მტრის საბოლოო განადგურებამდე.

საბჭოთა ადამიანების ამ დიადი მორალური შეიარაღების არსენალში თავისი ადგილი უჭირავს საბჭოთა ხალხების გმირულ წარსულს, სამშობლოს წინაშე ჩვენი დიდი წინაპრების მიერ გაწეულ ღვაწლს, საყოველთაო სახალხო განსაცდელის დროს მათ მიერ გამოჩენილ საოცარ სულიერ სიმტკიცესა და მხნეობას, მათ სამხედრო ნიჭსა და სიბრძნეს, მათ გმირობასა და სიმამაცეს.

საბჭოთა ხალხისათვის და მთელი მოწინავე კაცობრიობისათვის მარად სახსოვარი იქნება გასული წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე თავდაცვის სახალხო კომისრის, დიდი ბელადისა და მთავარსარდლის ამხანაგ **სტალინის** მიერ წარმოთქმული სიტყვა, სიტყვა, რომლითაც ამხანაგმა **სტალინმა** გზა დაულოცა ჩვენს შეუდრეკელ, სახელოვან წითელ არმიას პირსისხლიან მტრის წინააღმდეგ გმირულ შეტევაზე გადასვლისათვის.

„თქვენ, — უთხრა საყვარელმა ბელადმა ჩვენს ჯარს, — წილად გხვდათ დიადი განმათავისუფლებელი მისია. მაშ იყავით ამ მისიის ღირსნი! ომი, რომელსაც თქვენ ეწევით, არის განმათავისუფლებელი ომი, სამართლიანი ომი. დაე ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე. დაე გფარავდეთ თქვენ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა.“

დიდი რუსი ხალხის ეს სასიქადულო წინაპრები მართლაც გადაიქცნენ საბჭოთა მეომრების შთამგონებელ ძალად, მათ გამამხნევებელ და აღმაფრთოვანებელ გმირებად. მათი გმირული ღვაწლით აღგზნებულნი საბჭოთა მებრძოლები სჩადიან ისეთ ვაჟკაცურ და გმირულ საქმეებს, რომლებიც უსწორდებიან და სჯარბობენ კიდეც ჩვენი ხალხების მატიანეში აღბეჭდილ თავდადებისა და თავგანწირვის იშვიათ მაგალითებს. ვინ მოსთვლის, რამდენმა რუსმა საბჭოთა პატრიოტმა გაიმეორა ამ სამამულო ომში რუსი ხალხის დაუვიწყარი სახალხო გმირის ივანე სუსანინის თავგანწირვა?

სცოცხლობს და მოქმედებს საბჭოთა ხალხის გმირული წარსული ვაჟკაცობის და სიმამაცის სახელოვანი ტრადიცია.

იზრდება და ძლიერდება საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მეომრების ინტერესი წარსულის იმ დიდი ადამიანებისადმი, რომლებმაც თავიანთი ვაჟკაცობით, თავიანთი თავის გაწირვით სიცოცხლე და არსებობა შეუნარჩუნეს თავიანთ ხალხს, თავიანთ სამშობლოს. არასოდეს იმდენი მკითხველი არა ჰყოლია, რამდენიცა ჰყავთ დღეს, იმ მხატვრულ ნაწარმოებებს, სადაც ასახულია საბჭოთა ხალხების მახლობელი და შორეული გმირული თავგადასავალი. საბჭოთა მოქალაქეთა და მებრძოლთა შორის არასოდეს ისეთი დიდი მოთხოვნა არ ყოფილა ისტორიული ხასიათის მოხსენებებზე, როგორიც არის დღეს.

ფრიად საგულისხმო და მეტად სასიხარულოა ეს ფაქტი, რომ რუსი, უკრაინელი, ბელორუსი და სხვა ეროვნების მებრძოლები ღრმა ინტერესს იჩენენ არა მარტო თავიანთი ხალხების, არამედ მათ გვერდით მებრძოლ მოძმე ხალხების წარსულისადმიც. ფრონტზე, ბრძოლის ხაზზე რუსი მებრძოლები იშვიათი გატაცებითა და შეუნელებელი ინტერესით კითხულობენ არა მარტო ბოროდინის „დიმიტრი დონსკოის“, არამედ ანტონოვსკაიას „დიდ მოურავსაც“. რუსი წითელარმიელები მოითხოვენ მოხსენებებს არა მარტო თავიანთი ხალხის, არამედ ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულზედაც, მათ შორის დიდი მოთხოვნაა აგრეთვე მხატვრულად დამუშავებულ ეპიზოდებზე საქართველოს ისტორიიდან, ეს გარემოება ჩვენს მებრძოლთა შორის ხალხთა სტალინური მეგობრობის განმტკიცების და გაღრმავების მაჩვენებელია.

საქართველოს საბჭოთა მწერლების სასახელო და საპატიო მოვალეობაა, დააკმაყოფილოს ჩვენი სახელოვანი მებრძოლების ეს დიდი ინტერესი მოძმე ხალხების, კერძოდ, ქართველი ხალხის გმირულ თავგადასავლისადმი. იმ საღამოების რეპერტუარში, რომლებიც ჰოსპიტლებსა და სამხედრო ნაწილებში იმართება, შეტანილ უნდა იქნას ისტორიულ თემებზე დაწერილი, მაღალი პატრიოტული გრძნობით გამთბარი, ნამდვილ ისტორიულ ფაქტებზე დამყარებული ნოველები და პატარა მოთხრობები, რომლებიც თავიანთი განწყობილებით უნდა ეხმაურებოდნენ და უპასუხებდნენ ჩვენი მებრძოლების სულისკვეთებას. მეორეს მხრივ, მწერალთა შორის მომზადებულ უნდა იქნან ლექტორები, რომლებიც, წაიკითხავენ რა მოხსენებებს ჩვენი ხალხის წარსულზე, შეარჩევენ ისეთ ეპიზოდებს, რომლებიც უფრო მეტად გააძლიერებენ ცნობისმოყვარეობას, ინტერესსა და სიყვარულს ჩვენი ხალხის სახელოვანი ადამიანებისადმი. ჩვენი პრესა, კერძოდ, ჩვენი გაზეთი, უფრო მეტ ადგილს უნდა უთმობდეს ყოველ ისეთ მხატვრულ ნაწარმოებს თუ ნარკვევს, სადაც გადმოცემულია ჩვენი ხალხის გაუტეხელი გმირული სული.

ყველაფერი, რაც კი მოგვეპოვება, მატერიალურია იგი თუ სულიერი, ყველაფერი უნდა ჩავაბათ დიად განმათავისუფლებელი ომის სამსახურში, ყველაფერი უნდა მოვახმაროთ ვერაგ მტერზე ჩვენი ხალხის გამარჯვების საქმეს.

დაე, ჩვენი მწერლობის მხატვრული სიტყვის მეოხებით ჩვენი წარსულის გაცოცხლებულმა და ამოქმედებულმა გმირებმაც მიიღონ მონაწილეობა კაცობრიობის დაუძინებელი და პირსისხლიანი მტრის—ფაშიზმის განადგურებაში.

◆

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების საღამო სახელმწიფო უნივერსიტეტში

ამ დღეებში თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერ მუშაკთა და მწერალთა წრეში **სიმონ ჩიქოვანმა** წაიკითხა თავისი ახალი ლექსების ციკლი „დავით გურამიშვილი“. ეს ციკლი მთლიან პოეტურ ნაწარმოებს წარმოადგენს და შესდგება 36 ლექსისაგან. ყოველი ლექსი დასრულებული ცალკეული ნაწარმოებია. მიუხედავად ამისა, მთელი ციკლი გაერთიანებულია არა მარტო თემისა და იდეური მიმართების მიხედვით, არამედ ლოგიკური თანმიმდევრობით, მთლიანი კომპოზიციური გეგმით.

პოეტ დავით გურამიშვილის ტრაგიკული ბიოგრაფიის ძირითადი ეპიზოდები, მისი შემოქმედების ძირითადი მოტივები, მისი სულიერი სამყაროს დამახასიათებელი თავისებურებანი სიმონ ჩიქოვანის ლექსების ციკლში თავისებურ, ღრმად ორიგინალურ გამოხატულებას ღებულობენ.

სტალინური ეპოქის ადამიანის, საბჭოთა პოეტის თვალსაზრისით აშუქებს ავტორი იმ პრობლემებსა და მოვლენებს, რომლებიც საფუძვლად დაედვნენ დავით გურამიშვილის შემოქმედებას. მთელი ციკლი გამსჭვალულია მხურვალე პატრიოტიზმით, სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულითა და სამშობლოსათვის თავდადების გრძნობით, ხალხთა მეგობრობის მაღალი გრძნობით.

სიმონ ჩიქოვანის ახალმა ლექსებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრე ამხანაგებზე. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილე ამხანაგებმა—პროფ. ალ. ბარამიძემ, პროფ. მ. გოგიბერიძემ, დოც. თ. ბეგიაშვილმა და დოც. ს. ჭილაიამ, მწერლებმა ალ. აბაშელმა, კ. გამსახურდიამ, ვ. გორგაძემ, დ. ბენაშვილმა, ლევან ასათიანმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ სიმონ ჩიქოვანმა შექმნა დიდი პოეტური ძალის ნაწარმოები, რომელშიაც ღრმა და მახვილი აზრი მოსჩანს და რომელიც პოეტური ოსტატობის სიმდიდრითა და საშუალებათა მრავალფეროვანებით გამოირჩევა.

პატრიოტული მოტივები ძველ ქართულ პოეზიაში

(XVI—XVIII ს. ს.)

პროფ. ალ. ბარამიძე

იშვიათად თუ სხვა რომელიმე ხალხს განუცდია ის სიდუხჭირე, რაც ქართველობას წილად ხვდა თავის წარსულში. მაგრამ მიუხედავად მრავალგზის განსაცდელისა, ქართველობა მორალურად არ შერყეულა, სამაგალითოდ ინარჩუნებდა სულის მხნეობას, არ ელეოდა სისხლით გაპოხიერებულ თავის მიწა-წყალს და შეუპოვარი, უთანასწორო ბრძოლით უმკლავდებოდა გადამთიელ მტერს თუ შიგნით მაოხარს. სახლკარისათვის, სამშობლოსათვის, ღირსებისათვის ბრძოლის ზნეობით ძალას ქართველი ხალხი უხვად ჰპოვებდა მწიგნობრობაში. მწერლობა, პოეზია ქართველი ხალხის ყოფიერების განუკვეთელ ნაწილად გადაიქცა. დიდი და მცირე, ერი და ბერი, ყველა ეწეოდა შემოქმედებითი ცხოვრების ჭაპანს. წერილობით თუ სიტყვიერად იქმნებოდა და ყალიბდებოდა სიცოცხლის, ბრძოლისა და სამშობლოსადმი სიყვარულის მაღალი იდეალი. საგულისხმოა, რომ ნორმატიკული პოეტიკის ფუძემდებელი საქართველოში **მამუკა ბარათაშვილი** (XVIII ს.) საგანგებოდ აფრთხილებს კიდეც მწერლებს: „რომ ლექსი ურიგოდ არავის მოუვიდეს, რადგან ამთენი კარგიცა და ავიც გამოვა“-ო. მამუკას კონკრეტულადაც კი განუსაზღვრავს მწიგნობრობის პრაქტიკული ამოცანები: „ან კაი იგავები მოიყვანე და იმაზე თქვი, ან კაი სწავლის ამბებით კაი ამბები გალექსე, ან ომებსა და ფალავნების ამბავზედ თქვი, ამისთვის რომ კაცს გააგულოვნებს, ომს მოანდომებს და იარაღის ხმარებას ასწავლის და რჯულისა და მეფის და ქვეყნის გამოსაყენებელიაო“.

ერთის სიტყვით, თავისი პოეტიკით მამუკა ბარათაშვილი მხურვალედ ქადაგებს სამშობლოს სიყვარულის საჭიროებას, პატრიოტიზმის სპეტაკ იდეალს. მამუკას აზრით, მწერლობა ვალდებულია მხატვრული სიტყვით შეეცადოს საზოგადოების „გაგულოვნებას“. რაინდული სულით უნდა იყოსო გაჟღენთილი ცოცხალი პოეტური სიტყვა, ვაჟკაცურ (ფალავნურ) აღტყინებას უნდა იწვევდეს მკითხველში ლექსი. ლექსი უნდა ჰბადებდესო ქვეყნის სიყვარულსა და მტრების სიძულვილს. XVII საუკუნის ერთი ავტორიტეტული წყაროს მოწმობით, ქართველები თურმე გულს არ უყადრებდნენ კათოლიკე მისიონერთა მშრალ-დოგმატიკურ საეკლესიო სწავლა-დარიგებას, ისინი უფრო ყოფილან „მიზიდული ბეჟანიანისა, ბარამიანისა, როსტომიანისა და მათი მსგავსი წიგნების კითხვაზედ“[1]).

მრავალმხრივ არის საყურადღებო ეს დოკუმენტური ცნობა. ამჟამად ჩვენს ყურადღებას იქცევს ის მხარე, რომ ყველა დამოწმებული ლიტერატურული ძეგლი წარმოშობით უცხოურია. სჩანს, ფაბულის უცხოური წარმოშობის მიუხედავად, დასახელებული ძეგლები მაინც ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ სოციალურ-აღმზრდელობითს ფუნქციას. კერძოდ და განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას „როსტომიანზე“.

* * *

„როსტომიანის“ მგზნებარე პატრიოტიკა, მისი საგმირო მორალი თავისებურად ხელს უწყობდა ქართულ საზოგადოებაში „სიმხნისა და ახოვნისა სულის განღვიძებას“. „როსტომიანის“ „ზნეობა“ ქართველ მკითხველსა და მსმენელს ნათლად აგონებდა „ძველსა ზნეობასა და ზოგადსა ჩვეულებასა ძველთა ქართველთა“. ქართველობას მართლაც უყვარდა ქველი როსტომი, „ზნეუკლები და მამაცი“[2]) „ფალავანი გამოუთქმელი“, „მტერთა მზარავი“, გოლიათი „გულგახურვებული“, „ომითა გაუძლომელი“. „ლაშქართა ზურგი ძლიერი“. თავისი გამჭრიახი გონება, საარაკო ფიზიკური და მორალური ძალა ამ სახელოვანმა ფალავანმა მსხვერპლად მიუტანა ქვეყნის სამსახურს. როსტომმა თავმოყვარეობისა და პატივმოყვარეობის მახვილი გრძნობაც კი საზოგადოებრივ შეგნებას დაუმორჩილა და სამშობლო ქვეყნის ინტერესს ანაცვალა. სამშობლო ქვეყნის სიყვარულის გამო აპატია როსტომ ფალავანმა ბრიყვ შაჰ ქექაოზს მრავალგვარი უსამართლობა, უმადურობა, პირადი დამცირება და შეურაცყოფა. როსტომი მეთაურობდა კეთილშობილი ერანელების სამართლიან ომს მუხთალი თურანელების წინააღმდეგ. ქართველ მკითხველებს ბრძოლის ხალისს უღვივებდა და გამარჯვების წყურვილს უორკეცებდა მამაცი ერანელების თავგამეტება მამულისათვის.

„ჭანკ-მახვილნი და კისკასნი,
ფიცხლად მოქმედნი ომთანი,
გაფიცხდებიან ომშიგა,
ვითა ელვარი ხომთანი“.

ქართველობას კარგად ესმოდა „როსტომიანში“ აღბეჭდილი მთელი სიდუხჭირე მოძალადე მტრის თავაშვებული თარეშისა სამშობლო ქვეყნის დაბა-სოფლებში.

„შემოუხდეს, აოხრებენ, ატყვევებენ, ხოცდეს, სწვიდეს ყოველგნით მტერთა მოცამართეს“-ო, ამბობს „როსტომიანი“. „ესე თემი და ქვეყანა მძლავრობით დაუჭერია“-ო გულით მანკიერ ჯალათს. ამიტომაც „ბევრი სული ამოსწყდების, წაირყვნების სისხლისაგან“. კდემამოსილი „ბანოანნი უპატიოდ ითრევიან თურქისაგან“. ხოლო დარბეულთ და აწიოკებულთ „წყლული სტკიოდის მრავალთა“. ძნელია უფრო ცოცხლად და მღელვარედ დასურათება მუხანათი მტრის ძალადობისა ზნეკეთილ ხალხზე. ქართულმა ლიტერატურამ ეს ხალხი მართლმადიდებელ ქრისტიანებად მონათლა და, მაშასადამე, მისი ბედი უშუალოდ ქართველთა ბედზე გადმოიტანა. ერანელთა დატყვევნა-აოხრების მწარე ამბავი ქართული მიწის დატყვევნა-აოხრებად ამოიკითხა ჩვენმა მკითხველმა. ჩვენი მკითხველიც ომახიანად იმეორებდა: „თქვა: ჟამთაგან აროსა ხამს იმედისა გარდაწყვედა“-ო და თუმცაღა იყო „საწუთრო გამწარებული“, შემოსეულ მტერს ქედს არ უხრიდა, გულს არ იტეხდა, შეხაროდა როსტომის სიმხნევეს, იმასთან ერთად თავმოწონებით იმეორებდა:

„მე მეფედ მყავს ჩემი ხრმალი,
მით გავაპობ კლდესა მყარსა,
შუბი ჩემი მოყვასია,
ვიაშიკებ მისთვის ფარსა“.

„როსტომიანი“ მკითხველს უქადაგებდა, „დაუმტვრიველო ზურგის ძვალი“ მტერს, „ზღვას ააღუღებსო შიშითა“ ვაჟკაცური თავგამეტება, დაიმსხვრევაო „ეტლუკუღმართის“ თავხედური კადნიერება.

„როსტომიანის“ ქართული რედაქციის პირველი ავტორი, XV-XVI საუკუნეთა მიჯნის მოღვაწე, სერაპიონ კდელაური დიდი პატრიოტული გზნების პოეტია, მტრების მოძულე და მშობლიური ქვეყნის ღრმად მოყვარული. „როსტომიანის“ ტექსტზე გატაცებით მუშაობისას მას შეუტყვია ქართული ხმლის გამარჯვება მოძალადე მტრების ურდოზე. ამას აღუფრთოვანებია პოეტი, გული „მოუფხანია“, ტექსტის გაწყობა შეუწყვეტია და პატრიოტული გრძნობით გამთბარი სტროფი ჩაურთავს უცხო ამბავში: „აქა ბაგრატ იენგი ყალა წაუღო მტერთა“.

* * *

XVII საუკუნის პირველ მეოთხედში გამოუთქმელი უბედურება დაატყდა ქართლ-კახეთის მიწას (ნამეტურ კახეთს): ვერაგობით განთქმული სპარსეთის შაჰის, დიდად წოდებული აბასის რისხვა. შაჰ-აბას დიდის სისხლიანი ეპოპეა უსაშინელესი ეპოპეაა ჩვენი წარსულისა: მოსახლეობის მასობრივი ჟლეტა, აყრა, აწიოკება, გადასახლება, ეკლესია-მონასტრების, დაბა-სოფლების და ქალაქების რბევა-აოხრება, ვენახების, ბოსტნების, ხილნარების, თუთის ნარგავების აჭრა-გავერანება... ისტორიკოს ვახუშტის სიტყვით, შაჰ-აბასი თურმე განძვინდა ვითარცა ვეშაპი, შემოესია ჯერ კახეთს, შემდგომ ქართლს. „მოსრნა, მოსტყვევნა, აჰყარნა და მოაოხრნა“ მთელი ქვეყანა.

მეფე-პოეტის არჩილის (1647-1713) სიტყვით, შაჰ-აბასი „პირცეცხლიანი, უწყალო, ვეშაპი განძვინებული, მრავალჯერ გამარჯვებული მტერზედან, ალაღებული, მომსრეველი, ამომწყვეტელი, დამწველი, ცეცხლ-მომდებელი“, „მძლავრი“, „უწყალო“ და „გესლიანი მესისხლე“ კაცი იმას ფიქრობდა, რომ გაეჟლიტა ქართველი ხალხი „ამოდ, წყნარად და ნელ-ნელად“ („არჩილიანი, II). პირსისხლიანი შავი აგრესორი კახეთს მოადგა თურმე „მოპარვით“, ზაკვით:

„განჯას მოვიდა მოპარვით,
ამბავი ვერ ვსცანთ მოსვლისა,
სიტყვა რამ შემოეთვალა
იქიდამ სხვაგან წასვლისა.
გამწარდა საქმე სოფლისა,
მზე მიდრკა ქედად დასვლისა,
გვიპირებს ბნელი დაფარვას,
ჟამი ჩანს ნათლის ჩასვლისა“.

ცოფიანი შაჰ-აბასის მკრეხელობის საშინელება თვითონ იგემა და ეს გრძნობიერი ლექსით აღბეჭდა პოეტმა და მეფემ თეიმურაზმა (1589-1663). შვილები, დედა, დაი, ძმა, თავისიანნი და მისანდონნი, ტახტი, გვირგვინი, პატივ-ღირსება, კეთილდღეობა,—ყველაფერი მსხვერპლად გაილო ბედ-უკუღმართმა. ვერც თავს უშველა და ვერც ქვეყანას. სამაგიეროდ წრფელი ლირიზმით გამოიტირა სოფლის სიმუხთლე და ლექსს გაანდო „მტანჯავი ყოფის მოელვარე ფიქრი“.

„მე გასაძლებლად დავწერე
ხან ისი, ხან ეს რამეო,
გული ამაზედ დავაპყარ,
ბევრი დღე დავაღამეო;
სრულად ფიქრშიგან ჯდომითა
გული არ შევიღამეო,
ჩარხი უკუღმა დაბრუნდა,
ბედი დამტერდა, ვა მეო!“.

განსაკუთრებული სიძლიერით განიცადა და გრძნობიერად აღწერა თეიმურაზმა თავისი მშობელი დედის, ზნე-ფაქიზი ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილი აბასის მიერ. ყიზილბაშთა მარბიელი ველური ლაშქარით „აივსო მინდორი, ტყე, ველი“, „დაარბიეს, ამოწყვიტეს, შექმნეს ვითა განაქარი“, „დახოცეს, დაატყვევეს“ კახეთის მკვიდრნი. შეიპყრეს სულგრძელი დედოფალი, მოუნდომესო სულის შეგინება, რელიგიური გრძნობის შებილწვა. კეთილშობილი მანდილოსანი მხნედ დაუხვდა ველურ მტანჯველებს, სამაგალითო სტოიკური შეუპოვრობით დაითმინაო ხორცის ტკივილი. სინანულით და ცრემლით აცხადებს თეიმურაზი:

„ვა მე იმ დღისა მხსენესა,
დამვიწყდა დღენი წინანი!
მკერდით ზურგამდის გაავლე
გახურვებულნი რკანანი, —
მე, ავაზაკი შემცოდე,
ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი,
ამად ვარ ცრემლთა მდინანი“.

მთელი მოწინავე, ეროვნულ-სარწმუნოებრივ ნიადაგზე მდგომი ქართველობა გაერთიანებული იყო თეიმურაზის გარშემო. თეიმურაზი ობიექტურად გამოხატავდა სუვერენული ქრისტიანული ქვეყნის ამაყ, შეუდრეკელ ნებისყოფას. ვერავითარმა განსაცდელმა ვერ გატეხა თეიმურაზი, მტერს არ დანებდა, დაეცა, მაგრამ ბრძოლა მაინც განაგრძო. პოეტთან ერთად გმირი ქართველი ხალხი გაიძახოდა:

„ნუმც გავხდები უიმედო,
ღონევ შენსა ამარისა“.

თეიმურაზმა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შეინარჩუნა მებრძოლი სული, თუმცა მისი უძლური ხორცი მტრის ქვეყანაში დაიფერფლა.

---

[1]) მ. თამარიშვილი: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, ტფ., 1902, გვ. 682-683.

[2]) აქაც და ქვევითაც ციტირებულია „შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები“.

მ ე გ ო ბ ა რ ს

მაყვალა მრევლიშვილი

სამშობლოს პირველ დაძახილზე, მწყობრში ჩამდგარი,
თითქოს საჯარო დღეობაზე, კოხტად წახვედით.
მეგობრის მზერას მომაგონებს, შორით გამტკბარი,
ხავლილი ჯარის სიმღერების მხნე შეძახილი.

თქვენ მზესთან ერთად მობრძანდით ჩემთან,
ერთად დამტოვეთ,
გზა მშვიდობისა გაიყოლიეთ,
სიშორის ნაღველს არ ვახსენებ ზამთრით დათოვლილს,—
აპრილის ქროლვამ გააყოლა
ყვავილთ თოლიებს.

ჟუჟუნა თქორი მარგალიტად ჩამოგვეყარა,
სითბო-მორეულ ველ-მინდვრებით ამწვანდა უცბად,
აბჯარ-ასხმული მიაბიჯებს ჩემი ქვეყანა,
საველე ყდაში გმირთა სიებს ზედიზედ ფურცლავს.

წასულხართ ვალის მოსახდელად პირნათელ მიზნით,
მე გაზაფხულის ღამეს ვნუსხავ, ქარვის ხომლიანს,
გიცდით და გნატრობთ გამარჯვებულს,
და კვლავ დაგიცდით,
თუმცა თქვენ დაცდა არასოდეს არ გითხოვიათ.

პ ა ს უ ხ ი დ ე დ ა ს

წითელარმიელი **არსენ ჯავახელი**

შენი წერილი, ის სანატრელი,
გუშინ მივიღე, ძვირფასო დედავ.
დღეს დაგიწერე პასუხი ვრცელი,
ვინძლო სულ მალე მოვიდეს შენთან.

თურმე შენ ჩემზე ფიქრი გაწვალებს:
დასთმე ძილი და ტკბილი სიზმარი,
უშტერებ სივრცეს უძილო თვალებს
და ჩემზე ფიქრობ ყოველ ცისმარი.

თითისტარს ართობ, თუ ხელში ჭიქით
კახურს მიართმევ სტუმრად მოსულებს,
ამბობ: „მრავალი მთა-ველის იქით
გამარჯვება და სიცოცხლე შვილებს!“

ნატრულობ: „ჩიტად მაქცია ახლა,
ფრთები შემასხა მხრებზე იდუმალ,
რა არის შიში, რა არის დაღლა,
საყვარელ შვილთან გავჩნდები უმალ!“.

შენც მართალი ხარ, უტკბესო დედა,
რომ იფრთხობ ძილს და ზუზუნებ მწველად,
ბევრს კი ნუ ჯავრობ, აქ თვითონ მეც და
ამხანაგებიც კარგად ვართ ყველა.

ჩვენი საქმე და ნათელი ფიქრი,
ვთქვა, ჭეშმარიტად ვაჟკაცურია,
ფაფარაშლილი ლომივით მივქრით,
ვიბრძვით და მაინც ბრძოლა გვწყურია.

შენც მედგრად იყავ, ჩემო დედიკო,
ჩვენ მშობლიური გვიხმობს მთა-ბარი.
ქართვლის დედა ხარ, უნდა მხნედ იყო,
ზურგზე ნაწნავებ-გადანაყარი,

რომ ჟღერდეს ქება ქართველ დედისა,
ვიდრე ბობოქრობს მთებში რიონი,
ვიდრე ღრიალი ისმის თერგისა
და იღიმება კავკასიონი...

ვამთავრებ წერას.... ეს არის შენთან
შვილის პასუხი წრფელი და სწორი,
საბრძოლო სალამს გაბარებ ბევრთან
და მრავალ კოცნას გიგზავნი შორით.

მოქმედი არმია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცარიცინის დაცვა"

ერ. ასტვაცატუროვი

ისტორიულ თემაზე დაწერილი ყოველი ნაწარმოები ჭეშმარიტად მხატვრული მაშინ არის, როდესაც აუდიტორიას ნათლად და დამაჯერებლად ელაპარაკება ხალხის წარსულსა და აწმყოზე და თანამედროვე ადამიანის შემეცნებას ორგანიულად აკავშირებს დღევანდელ დღესა და მომავლის ნათელ პერსპექტივებთან.

მხატვრულ-ისტორიული ფილმის „ცარიცინის დაცვის" პირველი სერია ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშია. ნიჭიერმა რეჟისორებმა ძმებმა **ვასილიევებმა** შექმნეს დიდი გმირული ეპოპეის ცოცხალი სურათები, ჩვენი ხალხის წარსული ბრძოლების ნათელი და დამაჯერებლობით აღსავსე სახეები. უყურებთ სურათს და შინაგანად გატყვევებთ შეულამაზებელი სიმართლისა და ემოციური ზემოქმედების ძალა, გიპყრობთ დიდი ბელადის გენიის ძალა, რომლითაც თავიდან-ბოლომდე შთაგონებულია „ცარიცინის დაცვა", თქვენ ხდებით შეგნებული თანაზიარი და მონაწილე ცოცხალი და მომქმედი სულისა, რომელიც სამშობლოს სიყვარულის უმწიკვლო გრძნობასა და **ლენინ-სტალინის** წარმტაცი საქმისადმი გმირულ ერთგულებაში გადადის.

ფილმი ასახავს ისტორიულად მეტად საინტერესო და აქტუალურ პერიოდს საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლებიდან. ეს არის ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის უაღრესად მძიმე პერიოდი — 1918 წელი. თეთრგვარდიელთა და უცხოელ ინტერვენტთა (რომელთა ავანგარდსაც გერმანელი იმპერიალისტები შეადგენდნენ) გააფთრებული შემოტევის შეჩერებასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლებას უნდა გადაელახა სასურსათო სიძნელეები. მტერი ცდილობდა გარს შემორტყმოდა მსხვილ საწარმოო ცენტრებს, მოეწყვიტა ისინი სასურსათო რაიონებისაგან. ამ მხრივ გადამწყვეტი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ცარიცინს.

მტერს კარგად ესმოდა ეს. მან ცარიცინთან თავი მოუყარა თავის ძალებს და რეალური საფრთხის წინაშე დააყენა იგი. ცარიცინის დაცვა საბჭოთა ხელისუფლების გადარჩენას ნიშნავდა. ის იყო ყველაზე გადამწყვეტი ფრონტი იმ პერიოდში. მასზე იყო დამოკიდებული რევოლუციის მონაპოვარის შემდგომი ბედი. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, თუ **ლენინმა** ამ საპასუხისმგებლო ფრონტზე გაგზავნა თავისი ყველაზე საუკეთესო თანამებრძოლი, მახლობელი მეგობარი—**სტალინი**, რომელიც საგანგებო უფლებებით აღჭურვა.

სტალინი ცარიცინში ჩავიდა სწორედ იმ დროს, როცა მტერი ფიქრობდა ბრძოლა უკვე მოგებული მაქვსო. ამ შემთხვევაში მტერი პატარა იმედებს როდი ამყარებდა ტროცკისტ გამცემლებსა და მოსყიდულ სამხედრო „სპეციალისტებზე", რომელნიც იუდა ტროცკის დახმარებით მოკალათებული იყვნენ სამხედრო შტაბებში. ისინი იმედებს ამყარებდნენ აგრეთვე ტროცკის მავნებლურ გეგმაზედაც. მაგრამ **სტალინის** ჩასვლით ყველა იმედი გაუცრუვდათ.

სტალინმა ჩასვლის პირველ დღესვე ბრძნულად განსჭვრიტა ვითარება, გაეცნო მთელ ძალებს და ენერგიულად შეუდგა საქმეს, საკუთარ ხელში აიღო მთელი ინიციატივა და სამხედრო ხელმძღვანელობა, მტვრად აქცია ცარიცინის დაცვის ტროცკის მავნებლური გეგმა და შეადგინა საკუთარი გეგმა, რომელსაც მხარი დაუჭირა **ლენინმა** და რომელმაც უზრუნველჰყო მტერზე სწრაფი გამარჯვება.

სტალინმა გასწმინდა საბჭოთა და სამხედრო ორგანოები რუტინიორებისა, მავნებლებისა, გამცემლებისა და მოღალატეებისაგან, თვით მასიდან გამოავლინა და დააწინაურა საუკეთესო უნარიანი და თავდადებული ადამიანები, რომლებიც განსჭვალულნი იყვნენ ხალხისადმი სამსახურის უკეთილშობილესი გრძნობით. მთელს მუშაობასა და ბრძოლაში **სტალინი** ეყრდნობოდა ხალხის ინიციატივას, იგი ყოველ წუთს ცოცხალი ძაფებით იყო დაკავშირებული მასებთან, ესმოდა ამ მასების სულიერი ტკივილები და მისწრაფებები, იგი დროულად და თბილად ეხმაურებოდა ხალხის ყოველ წვრილმან მოთხოვნილებასაც კი.

მთელი ეს მოვლენები მკვეთრად არის ასახული ფილმში. აქ ვხედავთ დიდი პროლეტარული ბელადის ნათელ სახეს, მისი ბრძნული მოქმედების ცოცხალ სურათებს. **სტალინის** სიბრძნე, მისი—ვაჟკაცური და მაღალგონიერებით აღსავსე მოქმედება გვავსებს დიადი რწმენით, რომ მისი ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი კვლავ გამარჯვებული გამოვა მიმდინარე დიდ სამამულო ომიდანაც, რომ საბოლოოდ გავანადგურებთ და მოვსპობთ მიხაკისფერ ბანდიტთა ურდოებს.

ცარიცინის დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლაში **სტალინთან** იყო მისი მახლობელი თანამებრძოლი კლიმ ვოროშილოვი, უბრალო, ცოცხალი და გაბედული მეომარი, ნამდვილი ბოლშევიკი მხედართმთავარი. ფილმში ისტორიული სიმართლით არის გადმოცემული ვოროშილოვის მიმზიდველი სახე, მისი ბრძოლების წარმტაცი გმირული ეპიზოდი.

„ცარიცინის დაცვა" შესანიშნავად არის დამუშავებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მსახიობთა ღრმად მოფიქრებული თამაში. კერძოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მიხ. გელოვანი. მისი მუშაობა **სტალინის** როლზე საერთოდ სპეციალური სტატიის საგანია. მის მიერ შექმნილი სახე ბელადისა მთელს საბჭოთა აქტიორულ შემოქმედებაში დარჩება დიდ მონუმენტალურ შენაძენად, ისევე, როგორც შჩუკინის **ლენინი**.

ქართველი ხალხის უძლეველი გმირი ვახტანგ გორგასლანი

ქსენია სიხარულიძე

ხალხის მეხსიერებაში ცოცხლობენ შორეული წარსულის გმირები. ლექსებმა, სიმღერებმა და ზეპირგადმოცემებმა საუკუნეთა გრძელ მანძილზე გამოატარეს უკვდავი სახეები სახელოვანი მამულიშვილებისა. ხალხის ფანტაზიამ დიდების შარავანდედით გააბრწყინა იმ გმირთა სახეები, რომელნიც მამაცურად იცავდნენ სამშობლოს მიწა-წყალს შემოსეულ მტერთა რისხვისაგან.

საუკუნეთა გრძელი მანძილი აქვთ გამოვლილი სიმღერებს და ლეგენდებს ვახტანგ გორგასლანზე, რომელმაც პოლიტიკური გამჭრიახობითა და პირადი სიმამაცით ააცდინა სამშობლოს ორი ძლიერი მტრის—ერანელებისა და ბერძნების რისხვა. ამ ძლევამოსილმა გმირმა თავის დროზე დაიცვა ქართველი ხალხის ეროვნული სახე. ფრაგმენტალურ ლექსებსა და სიმღერებში, საინტერესო გადმოცემებში სჩანს ხალხის უდიდესი სიყვარული იმ გმირისადმი, რომელიც თორმეტ-ცამეტი საუკუნის წინ მშვილდ-ისრით დარაჯად ედგა სამშობლოს კარებს და უზრუნველჰყოფდა ქართველი ხალხის კეთილდღეობას. მეტად საინტერესო გავრცელებულ სასიმღერო ლექსში მადლიერმა ქართველმა ხალხმა სიმბოლიურად ასახა ძალა, სიდიადე და სიფაქიზე თავისი ღირსეული წინამძღოლისა:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.
ოსებში გადაიარა,
ჩერქეზები გადარეკა".

სიმღერა ჯერ კიდევ კავკასიონის მთებში ჭაბუკი მეფის გალაშქრებაზეა შექმნილი. 487 წელს მთიელ ტომებისაგან შევიწროვებული ქართველი ხალხი აღსდგა მამულის დასაცავად. ქართველი ჯარის სარდლობა თვით 16 წლის ვახტანგმა იკისრა და მან ჩინებულად დააგვირგვინა კიდეც საქმე. აღნიშნულ ბრძოლაში ჭაბუკმა მეფემ საკუთარი ისრით გაგმირა განთქმული გმირი თარხანი და უძლეველად ცნობილი ბაყათარი, რომელიც, მემატიანეს ცნობით, „იყო გოლიათი... ვერვის დაედგნეს მისდა, და მუსრა ყოველი მბრძოლი მისი" („ქ. ცხ." ბროსეს გამ., გვ. 118). ბაყათარი დამუქრებია ვახტანგს: „ან უკეთუ შენვე გამოხვიდე ბრძოლად ჩემდა, მოგხვდენ ჩემგან ბრძოლანი ფიცხელნი, რომელთაგან ვეღარა განერე" („ქართლის ცხოვრება"). ახალგაზრდა სარდალი ვერ შეუშინებია მტრის მუქარას. უშიშარ გმირს სათანადო პასუხი მიუცია ბაყათარისთვის: „არა მეშინის შენგან, ვითარცა ძაღლისა ერთისგან" (იქვე). სახელოვანი გამარჯვების შედეგად ვახტანგს გაუთავისუფლებია ტყვე ქართველები და მტრისგან გატაცებული ღვიძლი და მირანდუხტი.

არსებობს საინტერესო ლეგენდარული ლექსი, წარწერილი ნუზალის ეკლესიის კედელზე. მართალია, ის კედლის წარწერაა, მაგრამ, მსგავსად ეპიტაფიებისა, ფოლკლორს უკავშირდება. ვახტანგ მეფის მოწინააღმდეგე გმირი ამბობს:

„კავკასიონი დავიპყარ,
ოთხს სამეფოს გაუმკლავდი,
ქართველს ბატონს და მოვსტაცე,
არ დავაგდე ჩემი გვარი;
მამწვდა ფიცით, მიღალატა,
მან დაიდვა ჩემი ბრალი:
ბალათარ წყალსა მიეცა,
აღიხოცა ჩემი ჯარი".

ვახტანგ გორგასლანი ბრძოლის ველზე მტრის ისრით მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა. მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს შემოესია ერანის ყეენი კობადი. ვახტანგ გორგასლანი ქალაქ უჯარმას იდგა. მისი ლაშქარი უჯარმის წინ ველზე იყო გაშლილი. მტერი დიდძალი ლაშქრით მდინარე იორზე გადმოვიდა. ქართველები გმირულად დახვედრიან შემოსეულ მტერს. მათ გმირ მებრძოლებს აქეზებდა გორგასლანის სიტყვები: „ყოველი კაცი, რომელი დარჩეს სიკვდილისაგან, და მტერთა ჩვენთაგანისა თავი ანუ ხელი არ გამოიტანოს, სიკვდილითა მოკვდეს იგი ჩვენ მიერ" („ქ. ცხ.", ბროსეს გამ., გვ. 148). სამწუხაროდ, პატრიოტი მეფე, რომელმაც ჩვეულებრივი სიმამაცე გამოიჩინა ამ ბრძოლაში, მტრის მახვილით მკერდში სასიკვდილოდ დაიჭრა (იქვე).

არსებობს პატრიოტული გრძნობით გამთბარი გადმოცემა. ის მოგვითხრობს გორგასლანის სიდიადეზე, მის პოლიტიკურ გამჭრიახობაზე, ზნეობრივ სიფაქიზეზე, მოგვითხრობს მის პირად სიმამაცეზე ჭაბუკობიდან ვაჟკაცობამდე, ინდოეთის ლაშქრობაზე და სხვა. მთქმელი თავისებურად გადმოგვცემს უჯარმასთან ბრძოლაში ძლევამოსილი გმირის სასიკვდილოდ დაჭრის მიზეზს და მას დედოფლის მუხანათობით ხსნის. მოღალატე დედოფალი დახმარებია მტერს ვახტანგის სიკვდილში. იმ პირობით, რომ შემდეგ ცოლად გაჰყვებოდა. ამ გადმოცემით, ორგულ ცოლს ვახტანგის ცხენისთვის ბრძოლის წინ ბევრი მარილი შეუჭმევია. მეორე დღეს გაცხარებულ ბრძოლისას ცხენი ხანგრძლივად დასწაფებია ივრის წყალს. მეფე დახრილა სადავის მოსაწევად. მტერს უდროვია, გაუშვია ისარი და სასიკვდილოდ დაუჭრია ქართველთა ძლევამოსილი გმირი. არც მოღალატე დედოფალს ასრულებია გულის წადილი. უნდო ქალი თვით მტერს დაუსჯია ცხენის კუდზე მიბმით („დროება", 1885 წ. № 25). საინტერესოა, რომ პატრიოტმა მთქმელმა საყვარელი გმირის მოღალატე ქალი თვით მტერს დაასჯევინა, გადმოცემა განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ ხალხმა გორგასლანის დაღუპვა ბრძოლის ველზე ცოლის ღალატით ახსნა. აქ სჩანს ხალხის მისწრაფება—შეუნარჩუნოს გორგასლანს უძლეველი გმირის სახელი და ჩრდილი არ მიაყენოს მის სიმამაცეს.

ხევსურულ საგმირო პოეზიასაც ამშვენებს მოკლე სიმღერა ქართველი ხალხის შესანიშნავ სარდალზე:

„პირდაპირ შამავხედევლი
ციხის გალავნის პირსაო,
ნეფე ყოფილას გორგასლამ,
მშვილდ უჭეხებავ გმირსაო", —

ამბობს თავისუფლების მოტრფიალე ხევსური მათქვამი (აკაკი შანიძე —„ხალხური პოეზია", გვ. 79). ამ პატარა ოთხსტრიქონიან ლექსში იგრძნობა დიდი სიყვარული ქართველი ხალხისა მებრძოლ გმირისადმი, რომელიც ათასხუთასი წლის წინად პოლიტიკური ალღოთი და უფრო მეტად მშვილდ-ისრით უზრუნველჰყოფდა საქართველოს ეროვნულ მთლიანობას.

„აბდულ-მესიას" ახალი რუსული თარგმანი

12 მაისს, საღამოს, პროფ. **შ. ნუცუბიძემ** მწერალთა კლუბში ხალხით სავსე აუდიტორიას გააცნო ქართული ძველი ლიტერატურული ძეგლის შავთელის პოემის „აბდულმესიას" საკუთარი თარგმანი. წინასწარ მთარგმნელმა წაიკითხა თავისი გამოკვლევა ამ ძეგლის შესახებ.

როგორც ძეგლის მკვლევარმა, პროფ. შ. ნუცუბიძემ გამოსთქვა რამდენიმე ფრიად საგულისხმო და საინტერესო მოსაზრება. კერძოდ, მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა საკითხზე, რა დროს და რომელ ავტორს ეკუთვნის „აბდულმესია". როგორც ცნობილია, ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში ამ ნაწარმოების დაწერის დროზე და ავტორის ვინაობაზე დიდი დავა იყო. ფილოლოგებისა და ისტორიკოსების ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ პოემა დაწერილია დავით აღმაშენებელზე ამ მეფის კარის პოეტის შავთელის მიერ, ხოლო მეორე ნაწილი სთვლიდა, რომ პოემა მიძღვნილია თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავით სოსლანისადმი და დაწერილია იოანე შავთელის მიერ. უკანასკნელ დრომდე ეს დავა გადაუწყვეტელი რჩებოდა. საკითხი იმის შესახებ, თუ ვისადმია იგი მიძღვნილი, თამარისა თუ დავით აღმაშენებელისადმი, განსაკუთრებით მწვავედ წამოიჭრა ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ, როცა დაიწყო თარგმნა ამ პოემისა რუსულ ენაზე, რადგან არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვის შეხამებოდა ამ სახოტბო პოემაში უხვად ნახმარი ეპიტეტები და ზმნები, ქალს თუ მამაკაცს, თამარს თუ დავით აღმაშენებელს.

მომხსენებელი პროფ. ნუცუბიძე იზიარებს მე-19 საუკუნის დამდეგს თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ გამოთქმულ ჰიპოტეზას, რომელიც ამბობს, რომ „აბდულ-მესია" ეკუთვნის ორ ავტორს, რომლებიც ერთსა და იმავე გვარით—შავთელის გვარით არიან ცნობილნი. პირველი შავთელი, რომლის სახელი ისტორიას არ შემოუნახავს, არის დავით აღმაშენებელის მეხოტბე, ხოლო მეორე, იოვანეს სახელით ცნობილი თამარ მეფის მეხოტბე. პროფ. შ. ნუცუბიძის ვარაუდით, ვიღაც უცნობმა რედაქტორმა ერთ პოემად, ერთ ნაწარმოებად გააერთიანა სხვადასხვა ისტორიული პიროვნებისადმი მიძღვნილი და სხვადასხვა ავტორისაგან დაწერილი ორი ხოტბა და მიიჩნია ისინი ერთი ავტორის ნაწარმოებად იმის გამო, რომ ორივე ხოტბა დაწერილია ერთნაირი ზომით და ერთნაირი პოეტური ხერხებით. მომხსენებელმა სცადა პოემის სტილისტური და კომპოზიციური ანალიზით დაემტკიცებინა, რომ „აბდულ-მესია" პართლაც წარმოადგენს ორი პანეგირიკული პოემის შეერთებას, რომლებიც ერთი მეორისაგან განსხვავდებიან იდეოლოგიურად და მხატვრულად.

მთლიანად „აბდულ-მესია" ქართული რენესანსის ეპოქის პოეტური ნაყოფია. იგი გამსჭვალულია ჰუმანიზმის ელემენტებით, აღორძინების ეპოქის იდეალებით. პოემა იძლევა ახალ წარმოადგენას ადამიანზე, ახალ დამოკიდებულებას ადამიანის პიროვნებისა და ბუნებისადმი. ეს განსაკუთრებით აშკარად სჩანს „აბდულ-მესიას" იმ სტროფებში, რომლებიც დაწერილია თამარის დროინდელი პოეტის იოანე შავთელის მიერ და რომლებიც იოანეს წარმოგვიდგენენ ახალი იდეალების მატარებელ, თავისუფლად მოაზროვნე ჰუმანისტ პოეტად.

პოლიტიკურად მოწინავე ადამიანად გვევლინება პირველი, დავით აღმაშენებლის დროინდელი შავთელი, რამდენადაც იგი თავის პოემაში სახელმწიფოებრივი მთლიანობისა და ერთმეფობის იდეას უმღერის.

მთელი რიგი სტროფების ანალიზით და გაშიფრით მომხსენებელმა დაამტკიცა, რომ მე-11 და მე-12 საუკუნის ქართველი მწიგნობრები და ლიტერატურული საზოგადოებრიობა იცნობდნენ არა მარტო აღმოსავლურ და ელინურ ლიტერატურულ სამყაროს, არამედ რომაულ-ლათინურ მწერლობასაც, მათ შორის, ვირგილიუსის „ენეიდას".

ამ პოემის თარგმნის დროს,—სთქვა პროფ. ნუცუბიძემ,—მე ვცდილობდი დამეცვა დედნის ხასიათი, მისი არა მარტო შინაარსი, არამედ გარეგნული ფორმაც, მეტრი, რიტმი, შინაგანი რითმები, მუსიკალური ჟღერა. მოხსენების შემდეგ პროფ. შ. ნუცუბიძემ წაიკითხა თავისი თარგმანი, რაც დიდის ინტერესით და გულისყურით იქნა მოსმენილი. მან საერთო მოწონება დაიმსახურა, თუმც ბევრი რამ მასში სადავოდ უნდა ჩაითვალოს. უმთავრესად მთარგმნელი გამოსდევნებია ფორმალურ მხარეს, უცდია თარგმანში შეენარჩუნებინა დედნის არა მარტო რიტმი, არა მარტო რითმების თანმიმდევრობა, არამედ მუსიკალური ჟღერადობა, ბგერითი მსგავსება, ამის გამო თარგმანი დაშორებია დედანს ლექსიკურად და ზოგჯერ აზრობრივადაც. ხშირად ლექსიკის მხრით ბევრი სტროფი სულ სხვა შემადგენლობისაა, თუმცა მუსიკალურად დედნისმაგვარად ჟღერს. სანიმუშოდ მოვიყვანთ 193-ე და 194-ე სტროფს:

შენ გონიერო, გულისხმიერო,
თვით მეცნიერო, მეფე ძლიერო,
მიუხდომელო, მიუწვდომელო,
მიუთხრობელო, წრფელ-სახიერო.
განათლებულო, განახლებულო,
გაბრწყინებულო მზეო ციერო,
გალაღებულო, გალომებულო,
კვლავ გოლიათო გულ-ლმობიერო.

ეს ორი სტროფი პროფ. ნუცუბიძეს ასე აქვს თარგმნილი:

Мысли размером в знаньи безмерном
Ты нам примером, царь
прославленный,
Творишь умело всякое дело
Ты, как всецело златоплавленный.
Что нам блеснуло, мыслью мелькнуло
Это ты—с гулом с неба явленный,
Смерти ли дуло горе-б раздуло
Царь, зла разгулом не подавленный!

როგორც ვხედავთ, დედანსა და თარგმანს შორის ერთნაირი ბგერების შერჩევის გამო დიდი ფორმალური მსგავსებაა, მაგრამ ლექსიკით და აზრობრივადაც ძალზეა დაშორებული თარგმანი.

მიუხედავად ამისა, პროფ. ნუცუბიძის ეს ახალი ნამუშევარი პოეტური თარგმნის მეტად საყურადღებო და საინტერესო ცდას წარმოადგენს.

ვ. წ.

დაკონსერვებული მთხრობელი*

ივანე სნეგირიოვი

მზვერავებმა სერჟანტმა პეტრე კუზმენკომ და მებრძოლებმა კობზევმა და ბედზიამ დავალება მიიღეს—მივიდნენ ცეცხლის პოზიციებიდან განზე მდებარე ტბასთან, გადავიდნენ მეორე ნაპირზე, რომ გულდასმით გამოიკვლიონ, რა ძალები ჰყავს იქ მოწინააღმდეგეს.

ტბის სიგანე სამიოდე კილომეტრი იქნებოდა. ლელითა და ჩალით დაფარული იგი საკმაოდ ღრმა მოსჩანდა. წყალზე გადასასვლელად არავითარი საშუალება არ მოიპოვებოდა, გარდა ნახევრად დაშლილი სათევზაო ნავისა, რომელიც შავად მოსჩანდა ჩალიანში, ნაპირის მახლობლად.

მზვერავებმა წყლიდან გამოათრიეს ეს უბადრუკი ნავი, ძლივ-წვალებით დაჩურთეს და, როდესაც წყვდიადი ჩამოწვა, გზას გაუდგნენ. სიმძიმისაგან ნავი ისე ღრმად ჩაჯდა წყალში, კაცს ეგონებოდა, ჩაძირვას აპირებსო.

— ტონაჟი მცირეა,—კრიტიკულად შენიშნა კუზმენკომ, ბუნებით მხიარულმა კაცმა, რომელიც იხუნჯობას ცხოვრების მძიმე წუთებშიაც არ ივიწყებდა.

მზვერავები ბაყაყთა გუნდის ერთსულოვან აკომპანიმენტზე ნელა მიიწევდნენ წინ. შუაღამე გადასული იყო, როდესაც ტირიფით შემოსილ პატარა კუნძულთან გაჩერდნენ. ნაპირამდე ნახევარი კილომეტრი კიდევ რჩებოდა. სახიფათო იყო გზის განგრძობა: განთიადი ახლოვდებოდა და ნავს ადვილად შენიშნავდნენ ნაპირიდან.

კუზმენკომ ამხანაგები კუნძულზე დასტოვა, თვითონ კი ტანთ გაიხადა და ტრუსებში გამოწყობილი, ფრთხილად ჩაეშვა წყალში.

უკვე გათენებული იყო, როდესაც კუზმენკომ ნაპირს მიაღწია. თავსა და მხრებზე შლამი წაიფარა, წამოიწია, მიმოიხედა და ნაპირთან პატარა უბეში ჩაწვა, ხშირ ტირიფებს შორის, რომელნიც ნაპირიდან წყალს გადაჰყურებდნენ.

პირდაპირ სოფელი მოსჩანდა. მისი ბოსტნები თითქმის ტბას ეკვროდნენ. სოფელი ჩამკვდარი გამოიყურებოდა. არ აყრუებდა ჰაერს განთიადის ფრთოსანი მაუწყებლების — მამლების დაუცხრომელი ყივილი, არა ჰყეფდნენ მოუსვენარი ძაღლები, არ ისმოდა ახლად გაღვიძებულ და აფუსფუსებულ ადამიანთა ხმები და ცხენების ჭიხვინი წყალსალევთან.

სადღაც, ბოსტნების გადაღმა, გაისმა ომახიანი შეძახილი უცნობ ენაზე. ყრუ ხმამ ენის მოქცევით რაღაც უპასუხა. პირველი როდი იყო, რომ კუზმენკოს სანანებლად რჩებოდა იმ ენის უცოდინლობა, რომელიც ასე გამოადგებოდა დაზვერვის ძნელ საქმეში. გერმანულად მან ორად-ორი ფრაზა იცოდა: „გუტენ მორგენ" და „აუფვიდერზეენ".

— გუტენ მორგენ! — შესძახებდა ხოლმე იგი, როდესაც სნაიპერულ ტყვიას უგზავნიდა გაუფრთხილებლად თავწამოყოფილ გერმანელს, ხოლო მარჯვედ მოხვედრის შემდეგ დაუმატებდა: „აუფვიდერზეენ!"

სერჟანტმა ვერაფერი ვერ შენიშნა ნაპირზე, და ის იყო გადასწყვიტა, ცოცვით წასულიყო კანაფის ნათესისკენ, რითაც ბოსტანი თავდებოდა, და იქიდან გაეკვლია გზა, რომ კანაფის ნათესიდან გამოვარდა თავშიშველი თმააწეწილი ქალი ძალზე შეშინებული თვალებით. იგი ტბას მივარდა და ციცაბო ნაპირიდან წყლისაკენ გადახტა. სწრაფად წინსაფარი მოიხსნა, შიგ რამდენიმე საკმაოდ მძიმე ქვა შეახვია, კისერზე ჩამოიკიდა და გადაწყვეტით გაეშურა მორევისაკენ, რომელიც იქვე, მახლობლად, შავად გამოიყურებოდა.

კუზმენკო სწრაფად მივარდა ქალიშვილს.

— ხომ არ გადარეულხარ, ქალო? განა ვერა ხედავ, რა ღრმაა იქ წყალი?—დაბალი ხმით მიმართა მან.

ნახევრად შიშველი, შლამიანი უცნობის დანახვაზე ქალი ერთ წუთს გაშეშდა, მერე შეჰკივლა და უფრო სწრაფად გაემართა მორევისაკენ.

მაგრამ სერჟანტმა დაასწრო და გზა გადაუღობა.

— რამ შეგაშინა? გველეშაპი არა ვარ და ნიანგი, ხომ მხედავ ცოცხალ ადამიანს?—ამ სიტყვებზე კუზმენკომ მოხსნა ქალს კისრიდან ქვებიანი წინსაფარი და ნაპირზე გადაისროლა.

— გამიშვი!—გაძალიანდა ქალი და შეეცადა თავის დაღწევას.

კუზმენკომ პირზე ხელი დააფარა.

— წყნარად, ჩემო კარგო, რა გაყვირებს? თავსაც დაიღუპავ და მეც დამღუპავ,—ჩაიჩურჩულა მტკიცედ და ქალი წყლიდან გაიყვანა. იგი მწარედ ტიროდა.

— მითხარი ერთი, რა გქვიან?—იკითხა სერჟანტმა, როცა ტირიფის ქვეშ დასვა.

— ხრისტინა... — ჩაიჩიფჩიფა მან ქვითინით.

— კარგი სახელია. ასეთი სახელით უნდა იცოცხლო და არა მორევში გადაეშვა.

— აღარ შემიძლიან..

— გაწყენინა ვინმემ, თუ რა არის?

— მორევში გადავარდნა მირჩევნია ასეთ სიცოცხლეს, მორევში! — ქვითინით განაგრძო ხრისტინამ.—გუშინ... მთელ დღეს მდია... მოსვენება არ მომცა. ღამე შამბნარში გავატარე... დილით კვლავ დამიჭირა, ბეღელში შემათრია... ძლივს გაუსხლტი ხელიდან... მორევში გადავარდნა მირჩევნიან, მორევში!.. — წამოიძახა კვლავ სასოწარკვეთილმა და ფეხზე წამოიჭრა,

— დაიჟინე კაჭკაჭივით — მორევში და მორევშიო. მორევში გადავარდნას ყოველთვის მოესწრები, — ამ სიტყვებზე შეაჩერა კუზმენკომ და ჰკითხა: —ბევრნი არიან სოფელში?

— ბევრნი...

— მაინც რამდენი?

— არ ვიცი...

— ტანკები არ დაგინახავს?

— დავინახე...

— რამდენი?

— ბევრი... მორევში მირჩევნიან, მორევში...

მრავალი კითხვა მისცა კუზმენკომ, საიდან არ მოუარა, მაგრამ გარკვეული პასუხი მაინც ვერ მიიღო. ხრისტინა თრთოდა განცდილი საშინელებისაგან,. ტიროდა და უაზროდ იმეორებდა: მორევში მირჩევნიანო.

და უეცრად კუზმენკოს მაცდური აზრი დაებადა თავში.

— ნუ სულელობ, ხრისტინა, დაწყნარდი! — ალერსიანად მიმართა და თავზე ხელი გადაუსვა, — ადამიანი ერთხელ იბადება. რატომ უნდა დაიღუპო უაზროდ? ნურაფრისა ნუ გეშინიან, მე გიშველი, დაგიხსნი გაჭირვებისაგან.

კუზმენკოს სიტყვებმა იმოქმედეს ქალიშვილზე, უნდობლად შეხედა, მაგრამ ერთბაშად გაყუჩდა.

— მე გაგანთავისუფლებ მაბეზარ არშიყისაგან. თუ არ მოისურვებ აქ დარჩენას, იმ ნაპირზე გადაგიყვან. მხოლოდ ცოტა შენც დამეხმარე.

ხრისტინას თვალებში უნდობლობა იმედმა შესცვალა. ტირილს თავი მიანება და თავისი დიდი ლამაზი თვალები სერჟანტს მიაშტერა. „გერმანელს, ეტყობა, ცემო ჰქონიაო", გაიფიქრა კუზმენკომ, ხრისტინას კი უთხრა:

— მხოლოდ ნუ შეგეშინდება. გადი ერთი წუთით აქედან და ბოსტანში გაიარე. ის, ალბათ, იქ სადმე გიცდის. როცა გამოგიდგება, აქეთკენ გამოიქეც, გაიგე?

— არა, არა. — შესძახა ხრისტინამ და სახე შიშისაგან დაემანჭა.

— გეუბნები, გიშველი, დაგიხსნი,— არწმუნებდა კუზმენკო.

ქალი დიდხანს ჯიუტობდა, თანხმობას არ აცხადებდა, მაგრამ კუზმენკომ ბოლოს მაინც დაიყოლია.

შიშისა და აღელვებისაგან აკანკალებული ხრისტინა ხეებიდან გავიდა და ბოსტნისაკენ გაემართა.

ვერ მოასწრო ქალმა კანაფის ნათესამდე მისვლა, რომ ბოსტანში, მზესუმზირებს შორის, გერმანელი გამოჩნდა. ხრისტინამ შეჰყვირა და ნაპირისაკენ იბრუნა პირი.

— შეჩერდი. ხრისტინა, შეჩერდი!— დაბალი ხმით, მაგრამ ბრძანების კილოთი შესძახა კუზმენკომ.

ხრისტინა წუთით შეჩერდა, უმწეოდ ხელები დაუშვა, მაგრამ როცა კანაფის ნათესიდან მისკენ მომავალი ფეხის ხმა მოესმა, კივილით ნაპირისაკენ გამოიქცა. გერმანელი სწრაფად გამორბოდა. კუზმენკომ მის მხრებზე ეფრეიტორის ნიშნები შენიშნა.

ხრისტინა ფლატედან ჩახტა და წყალში შევარდა. ფეხდაფეხ გერმანელი მიჰყვა. მან მხრებში სტაცა ხელი ქალს, წყლიდან გაათრია და უხეშად ძირს დაანარცხა. ამაოდ ეწინააღმდეგებოდა ხრისტინა. გერმანელმა მუხლი დააჭირა და მიწას მიაკრა, და მისი წითური ჯაგრით შემოსილი ბრტყელი სახე ავხორცი ღიმილით გაბრწყინდა.

მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა. უკან ფაჩუნი გაისმა და ვიღაცის მაგარი ხელი მის მხარზე დაეშვა. წყნარმა ხმამ დაცინვით ჩაილაპარაკა:

— გუტენ მორგენ, ეფრეიტორო!

ეფრეიტორს შეაჟრჟოლა, პირი მიიბრუნა, თვალი მოჰკრა შლამით შემოსილ ადამიანის ფიგურას. იმავე წუთს მის თავზე დაეშვა წყალში დიდიხნის გდებისაგან გაშავებული კეტი. უხმოდ, უსიტყვოდ გაიშხლართა გერმანელი ნაპირზე.

თავზარდაცემული ხრისტინა ერთ ადგილას გაშეშდა, იგი უაზრო თვალებით დაჰყურებდა გერმანელს.

— ახლა წადი, ხრისტინა, — მიმართა კუზმენკომ, ისეთი მშვიდი კილოთი, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს. — საღამოზე კვლავ მოდი. აქ დაგიხვდები. ხომ გესმის?

— მესმის...—ჩაიჩურჩულა მან, გაოცებისაგან ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულმა. მაგრამ თავის უცნობ მხსნელს მაინც დაუჯერა და უკან დაიხია.

სწორედ ამ დროს დაინახა ხრისტინამ, რომ გერმანელის გაშეშებული სახე შეინძრა. ქალს სუნთქვა შეეკრა, მოელოდა, რომ უცნობი, ზღაპრული წყლის კაცის მსგავსი უცნობი, კეტს აიქნევდა და სულს გააფრთხობინებდა გერმანელს. მაგრამ „ტყის კაცი" წყნარად შეჰყურებდა თითქმის გონს მოსულ ეფრეიტორს და რაღაცას ფიქრობდა. როდესაც ეფრეიტორმა თვალები გაახილა და თავი წამოსწია, კუზმენკომ სწრაფად სტაცა ხელი და წყალში ჩააყირავა.

გერმანელი შეფართხალდა. სცადა ფეხზე წამოდგომა, მაგრამ ღონიერ ხელებს მაგრა ეჭირათ და წყლიდან არ უშვებდნენ. წყლის ზედაპირზე ბუშტები ამუყბუყდნენ, გერმანელი გაიგუდა.

ხრისტინამ სწრაფად მოკურცხლა და ისე მიიმალა ბოსტანში, რომ უკან აღარ მოუხედნია.

ოციოდე წუთის შემდეგ კუნძულზე დარჩენილმა კობზევმა და ბედზიამ დაინახეს, როგორ მიცურავდა მათკენ სერჟანტი, იგი ნელა უახლოვდებოდა კუნძულს და რაღაც მძიმეს მიათრევდა.

როცა კუზმენკო ნაპირზე გავიდა და გაგუდული ეფრეიტორი გაათრია, უკრაინელმა ბედზიამ, რომელსაც უაზრო ფაცა-ფუცი არ უყვარდა და რომელიც ყველაფერში სიცხადეს ამჯობინებდა, დინჯად გარს შემოუარა, ხელი შეახო და სთქვა:

— რა არის ეს?

— ვერა ხედავ, რაც არის? ენაა, მთხრობელი, — და ეშმაკურად ჩაუკრა თვალი კუზმენკომ.

— სადაური ენაა? ეს ხომ მკვდარია!

— გაცოცხლდება, თავს იკატუნებს მხოლოდ.

— არ მოვისურვებდი ასეთ მოკატუნებას...

— ოდნავ დავაკონსერვე. აბა, ბიჭებო, მიშველეთ, ერთი შევაჯანჯღაროთ ეს ჩვენი ეფრეიტორი, თორემ, ვინ იცის, მართლა არ შემოგვაკვდეს.

ბედზიამ ეჭვით თავი გააქნია, მაგრამ მაინც ხალისით დასტაცა ფეხებში ხელი ამ უცნაურ „ენას". მზვერავებმა ეფრეიტორი ასწიეს და ჰაერში გააქანგამოაქანეს. მალე გერმანელის პირიდან და ცხვირიდან წყალი წამოვიდა. გაგუდულს სახე გადაეწმინდა, ლურჯი, იისფერი ჩამოშორდა და სიცოცხლის ნიშნები დაუბრუნდა.

— მაგარი და გამძლე ყოფილა ეს არამზადა! — დაასკვნა ურწმუნო თომამ ბედზიამ, რომელმაც ბოლოს ირწმუნა მკვდრეთით აღდგომა.

ტყვე გონს მოდიოდა, მალე თვალებიც გაახილა. კუზმენკო მისკენ დაიხარა:

— გუტენ მორგენ, ეფრეიტორო! როგორა გრძნობ თავს? ოდნავ გაწუწვა მოგიხდა, მაგრამ არა უშავს-რა, ჰაერზე შეგაშრობთ.

და როდესაც ნავი ორი მზვერავით და ფსკერზე გაშხლართული „დაკონსერვებული ენით" ნაპირს მოსწყდა, კუზმენკომ ხელი დაუქნია მისკენ თვალებდაჭყეტილ შეშინებულ გერმანელს და ჩაილაპარაკა:

— აუფვიდერზეენ, ეფრეიტორო!

თავათ კუზმენკო კუნძულზე დარჩა დაზვერვის განსაგრძობად.

---

*) უკრაინელი მწერლის ივანე სნეგირიოვის ეს ნოველა დაწერილია ჩვენი გაზეთისათვის.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე,
გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
უე 5915